სსრ კავშირის შექმნა იყო პირდაპირი გაგრძელება დიადი ოქტომბრის საქმისა, რომელმაც ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის განვითარებაში, იყო პრაქტიკული განხორციელება დიდი ლენინის იდეისა თავისუფალ ერთა ნებაყოფლობითი კავშირის შესახებ.

ლ. ბრეჟნევი

სსრკ 50


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 254 (4764)

1972 წ. 23 დეკემბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


## სანეევი და ფხაკაძე — „ნაროდენ სპორტის" სიაში

ბულგარულმა გაზეთმა „ნაროდენ სპორტმა" 14, 16 და 18 დეკემბრის ნომრებში გამოაქვეყნა 1972 წლის შედეგების მიხედვით მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანთა სია. ამ სიაში საქართველოს ორი სპორტსმენია. ესენი არიან სამხტომში მსოფლიო რეკორდსმენი (17,44 მ), მეხიკოსა და მიუნხენის ოლიმპიადების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სანეევი (იგი თავის სახეობაში პირველ ნომრადაა დასახელებული) და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ასევე თბილისის დინამოელი ჯ. ფხაკაძე. უროს მტყორცნელთა შორის მას (72,66 მ) XIII ადგილი უკავია.

## [illegible]-72

● ამსტერდამი, 21 დეკემბერი. აქ დაიწყო ასუჯრიან შაშში I მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის. სსრ კავშირის ღირსებას იცავენ ნ. მიშჩანსკი (დონეცკი) და გ. შავერდიანი (თბილისი). I ტურში ორივე საბჭოთა მოშაშემ გაიმარჯვა. II ტურში ახალ წარმატებას მიაღწია მიშჩანსკიმ — მან იტალიელ ბ. ვირტუს სძლია. ამავე დროს აქ მიმდინარეობს ტრადიციული საახალწლო ტურნირი. დიდოსტატთა ჯგუფში მოთამაშე ა. ანდრეიკომ (რიგა) I ტურში ჰ. იანსენს (დანია) სძლია, ხოლო მეორეში — ჟ. მოსტოვოის (საფრანგეთი). ფრანგ მოშაშესთან მისი პარტია საუკეთესოდაა მიჩნეული, რისთვისაც ანდრეიკოს ტურის საგანგებო პრიზი უბოძეს.

● მოსკოვი, 22 დეკემბერი. დღეს აქ დიდი ინტერესი გამოიწვია გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე ჰოკეისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ორივე მატჩმა. მსოფლიო ჩემპიონს — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს არაფერში დაუდო ტოლი ფინეთის ეროვნულმა გუნდმა და ეს დაძაბული თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1. ცხადია, ამას არავინ ელოდა. ასევე მოულოდნელი იყო სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრები კოლექტივების შეხვედრის ანგარიში. მაყურებელთა გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ყველაზე დიდი ოპტიმისტიც ვერ იწინასწარმეტყველებდა ოლიმპიური ჩემპიონის ასეთ მოგებას — 10:21 ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრები ერთპიროვნულად ლიდერობს გათამაშებას — 6 ქულა 6-დან. II ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 4 ქულა.

## რაიონებში [illegible]

→ ზესტაფონი

ქალაქის მე-2 საშუალო სკოლაში გაიმართა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები სპორტის რამდენიმე სახეობაში. ფრენბურთსა და კალათბურთში პირველობა მოიპოვეს X² კლასის მოსწავლეებმა, ფრენბურთში — IX³ კლასის წარმომადგენლებმა.

● ● ●

ახლახან სოფელ ზედა საქარის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოაწყვეს ორდღიანი ლაშქრობა მარშრუტით: ზესტაფონი — ტყიბული — მუხურა — თუზი — ზესტაფონი. ამ ღონისძიებაში მონაწილეობით მოსწავლეებმა მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარეს.

ა. განუგრავა.

## ორი ტურნირი

ამას წინათ წულუკიძეში ჩატარდა კალათბურთელთა საინტერესო ტურნირები, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს მიეძღვნა.

რაიონული შეჯიბრება განათლების განყოფილების პირველი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. გადამწყვეტ მატჩში მან № 9 პროფტექნიკური სასწავლებლის ჭაბუკებს სძლია — 51:39.

არანაკლები ინტერესი გამოიწვია საშუალო სკოლების ჭაბუკთა და გოგონათა კოლექტივების ასპარეზობამ. წარმატებას ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის გოგონებმა და კუხის საშუალო სკოლის ჭაბუკებმა იზეიმეს.

ა. ჯაფარიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
წულუკიძე.





მშვრთნელები და მასწავლებლები აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს



## ჭაბუკებსაც შეშურდებათ!..

თბილისში, ორჯონიკიძის ქუჩაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური და თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლების შესასვლელი კარის თავს ამშვენებს მოწოდება: „ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი გიწვევთ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად!"

სტადიონზე ყველა პირობაა შექმნილი ნორმატივების ჩაბარების მსურველი ყველა ასაკის ხალხისთვის. მათს განკარგულებაშია გასახდელები, სამხაპე, სარბენი ბილიკები, სექტორები...

ნორმატივების მიმღებ კომისიას თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორი, სპორტის საპატიო ოსტატი მ. ტუღუში თავკაცობს.

კვირა დღეა. სტადიონი სავსეა ნორმატივების ჩამბარებლებით. მიმღები კომისიის წევრებს დიდი ჯაფა ადგათ. სიგრძეზე ხტომის სექტორში იბარებენ ნორმატივებს III საფეხურის პროგრამით. დღეს აქ თავი მოუყრიათ დედაქალაქის მე-2 და მე-3 მუსიკალური სასწავლებლების მოსწავლეებს. სტადიონის მეორე მხარეს თბილისის მხატვრული თვითმოქმედი სასწავლებლის აღსაზრდელები ერთმანეთს ბირთვის კვრაში ეჯიბრებიან.

სარბენი ბილიკები შედარებით უფროსი ასაკის სპორტსმენებს დაუკავებიათ. მესტარტის ნიშანზე ერთ გარბენს მეორე ცვლის, მეორეს — მესამე... ნორმატივებს „ხანდაზმული" სპორტსმენებიც აბარებენ, ისინი, ვინც წარსულში უმაღლო ოსტატობით ხიბლავდა სპორტის ქომაგებს, ვისაც მრავალგზის უსახელებია თავი საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. მათ შორის არიან სპორტის დამსახურებული ოსტატი, რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე, სპორტის საპატიო ოსტატი ჩოგბურთში, სტუდენტთა მსოფლიო თამაშების პრიზიორი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ი. ერმოლოვა, სპორტის ოსტატები რ. გოგეშვილი, ა. ანტონოვი, ვ. სევასტიანოვი, აგრეთვე, სკოლების თანამშრომლები ს. მანჯგალაძე, ო. ქართველიშვილი, მ. ქავთარაძე, ხ. მეყანწიშვილი, ი. იუნაევი, ბ. ნოდარიშვილი, მ. მუდრიკი.

აღნიშნული სკოლების მწვრთნელ-მასწავლებლებიდან უმრავლესობამ მშდ კომპლექსის ნორმატივები ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა: ვ. სევასტიანოვმა 100 მეტრი 11 წამში გაირბინა. სიგრძეზე ყველაზე შორს (523 სმ) მასწავლებელი ა. ანტონოვი გადახტა. ბირთვი ყველაზე შორს ჰკრა რ. შავლაყაძემ. ქალთა შორის ყველას ი. ერმოლოვამ აჯობა.

ნორმატივების ჩაბარება გრძელდება.

გ. დოლენჯაშვილი.

● ● ●



სურათებზე: ი. ერმოლოვა სიგრძეზე ხტომის დროს; რ. შავლაყაძე ჰკრავს ბირთვს რბენის სტარტზე.

ავტორის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წერილების მიმოხილვა**

# უნაკლოდ ჩავაბაროთ მშდ კომპლექსის ნორმატივები

# 2800-დან — 64

## მოხსენებები უფრო კრიტიკული უნდა ყოფილიყო

# ქალთა სპორტს მეტი ზრუნვა სჭირდება!

# ბაზები არ გვყოფნით

რესპუბლიკის ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებში, კომკავშირულ ორგანიზაციებში ტარდება კონფერენციები, პლენუმები, რომლებზეც შეკრებილნი მსჯელობენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, მშრომელთა გამაჯანსაღებელ მუშაობაში მოპოვებულ წარმატებებსა თუ ნაკლოვანებებზე.

ჩვენი რუსთაველი კორესპონდენტი რ. ბაბრიშვილი გვწერს რუსთავის ქიმიური კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის კონფერენციაზე.

მომხსენებელმა — საწარმოს ფიზკულტურის უფროსმა ინსტრუქტორმა ა. გოგინაშვილმა ილაპარაკა წარმატებებზე, რასაც ქიმიკოსმა ფიზკულტურელებმა დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით მიაღწიეს. ითქვა, რომ კომბინატის 2 ათასამდე ფიზკულტურელიდან 600-მდე თანრიგოსანია. კარგად მუშაობენ ელექტრო, ნედლი ლაქტამის, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და ავტომატიკის, ამიაკის ახალი წარმოების, № 1 ჰაერგამყოფი საამქროების ფიზკულტურული ორგანიზაციები. წლეულს კომბინატში 22 სპორტული და გამაჯანსაღებელი ღონისძიება ჩატარდა და ყველა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ენგურჰესის მშენებლობის ფიზკულტურელთა II კონფერენციაზე მოხსენება საბჭოს ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ბ. ჭეჟიამ გააკეთა. მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში მშენებლობაზე სპორტული და გამაჯანსაღებელ-ფიზკულტურული მუშაობა უფრო ამაღლდა. მშენებლობაში შედის 17 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც 5000-ზე მეტი კაცია გაერთიანებული. მათს განკარგულებაშია 9 ფრენბურთის, 7 კალათბურთის, 8 ხელბურთის მოედანი, 4 საფეხბურთო მინდორი და ამდენივე საცურაო აუზი. მშენებელთა VIII სპარტაკიადაში 2500-მდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა.

ფიზკულტურის კოლექტივებს შორის მოწინავეა ჰიდრომექანიზაციის სამმართველოს ორგანიზაცია. ქების ღირსნი არიან ძალოვანი კვანძისა და კამხალის სამმართველოს კოლექტივებიც.

ენგურჰესელთა კონფერენციის ანგარიში რედაქციას ა. შიშიამ გამოუგზავნა.

თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის" ფიზკულტურული კოლექტივის კონფერენციის მუშაობაზე გვწერს ამ კოლექტივის ფიზკულტურის ინსტრუქტორი ჯ. მორგოშია. კონფერენციაზე ლაპარაკი ყოფილა ფაბრიკაში სპორტული და გამაჯანსაღებელი საქმიანობის გაუმჯობესებაზე, ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაზე, ბაზების მდგომარეობაზე.

„სპარტაკის" ზესტაფონის რაიონის, ქუთაისის საქალაქო, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოების კონფერენციების შესახებ გვწერენ ჩვენი კორესპონდენტები ა. ზანუზრავა, შ. ნიჟარაძე, ო. მურვანიძე და ვ. მელქოევი.

ზესტაფონში საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს თავმჯდომარე ს. ცხადაძე. მან აღნიშნა, რომ რაისაბჭო ოთხი წელია ინარჩუნებს „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. სპორტსაზოგადოების კოლექტივები წლეულსაც მონდომებით მუშაობდნენ და განსაკუთრებულ ყურადღებას მასობრივ-ფიზკულტურულ საქმიანობას უთმობდნენ.

აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჯოჯუამ კონფერენციის მონაწილეებს უამბო ბოლო ორი წლის მანძილზე გაწეულ მუშაობაზე. მან თქვა, რომ აჭარაში „სპარტაკის" ფიზკულტურელთა რიცხვს 3000-ზე მეტი კაცი შეემატა, ამაღლდა გუნდების ბრძოლისუნარიანობა, გადაჭარბებით შესრულდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები. 137 სპარტაკელი ბათუმის, აჭარის, საქართველოს, ცენტრალური საბჭოსა თუ სსრ კავშირის ჩემპიონია.

მომხსენებელმა მოწინავე კოლექტივებს შორის დაასახელა კოფეინის, ხილეული წყლებისა და ლუდის ქარხნების, ჩაქვის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ფიზკულტურული ორგანიზაციები.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ჯ. კვიციანის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ წლეულს ექვსის მაგიერ 7 სპორტის ოსტატი მოამზადეს, გადაჭარბებით შესრულდა სპორტის ოსტატობის კანდიდატებისა და თანრიგოსნების, საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმები. სპარტაკელებმა საქალაქო სპარტაკიადაში ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვეს. მომხსენებელმა ილაპარაკა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაზე. ამ საქმეში მან მოწინავეებად დაასახელა სატყეო, სამთო, ავტომექანიკური ტექნიკუმების, კოოპერაციული სასწავლებლის კოლექტივები.

სამტრედიის განყოფილების „ლოკომოტივის" რაისაბჭოს კონფერენციის ანგარიში რედაქციას ამ განყოფილების ინჟინერმა რ. შამათავამ გამოუგზავნა. იგი გვწერს, რომ მომხსენებელმა — რაისაბჭოს თავმჯდომარემ ი. სტურუამ ილაპარაკა 93 ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობაზე, სამტრედიის სპორტკლუბ „იმერეთისა" და ქუთაისის სპორტკლუბ „თბომავლის", სოხუმისა და ბათუმის საკვანძო საბჭოების, სოხუმის სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურელთა საქმიანობაზე.

რედაქციამ მიიღო „განთიადის" რუსთავის საქალაქო საბჭოს VIII კონფერენციის (მომხსენებელი — საბჭოს თავმჯდომარე ი. ბურჭულაძე), კომკავშირის თერჯოლის რაიკომის პლენუმის (მომხსენებელი — რაიკომის პირველი მდივანი მ. გვენეტაძე) მასალებიც. წერილი პლენუმის მუშაობაზე ა. ჩარექიშვილმა გამოგზავნა.

რუსთავის „განთიადმა" წლეულს მოამზადა 4-ის მაგიერ 10 სპორტის ოსტატი, 65-ის მაგიერ 113 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, სხვა თანრიგების 2300 სპორტსმენი, 1223 საზოგადოებრივი მუშაკი. წარმატებებს აღწევენ საზოგადოების ველოსიპედისტები, თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეები, აკრობატები, ნიჩბოსნები. საუკეთესო კოლექტივია სპორტკლუბი „ფოლადი".

კონფერენციებზე და პლენუმებზე მომხსენებლებიც და მოკამათეებიც ნაკლოვანებებზეც შეჩერდნენ. ითქვა, რომ რუსთავის ქიმიურ კომბინატში სათანადო მზრუნველობით არ ეკიდებიან ქალთა შორის სპორტის განვითარებას. მძლეოსნობაში, ძალოსნობასა და ცურვაში ბაზების უქონლობის გამო შეჯიბრებები არ ტარდება. ერთადერთი სპორტდარბაზი შესაკეთებელია, კომპლექსური მოედნების მოწყობის საქმე მოსაგვარებელია.

ენგურჰესის მშენებელთა წლევანდელ სპარტაკიადას გულგრილად მოეკიდნენ მშენებლობის სამმართველოსა და დირექციის, ვარდნილჰესის სამმართველოს, № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივები. დაბა ჯვარზენში რამდენიმე წელია ჭიანურდება საცურაო აუზის მშენებლობა და ფეხბურთის მინდვრის მოწყობა. სათანადო დონეზე არ დგას მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანში" სპორტის პროპაგანდას საჭირო ყურადღება არ ექცევა. არა აქვთ მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ადგილი.

ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საქმე ვერც ზესტაფონის რაიონშია კარგად. 2800-მდე სპარტაკელიდან კონფერენციის დღისთვის ნორმატივები მხოლოდ 64 კაცს ჰქონდა ჩაბარებული. ცუდად მუშაობენ ჯანმრთელობის განყოფილების, საქვაჯრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის, ავტოკონტორების ფიზკულტურის კოლექტივები.

აჭარაში „სპარტაკის" ორგანიზაციებში ჩამორჩებიან ბათუმის ღვინისა და რძის ქარხნების, სამედიცინო სასწავლებლისა და საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის კოლექტივები. კვლავ დაბალ დონეზე დგას საწარმოო ტანვარჯიში, ბევრგან არა აქვთ სპორტული ბაზები.

აჭარის კოლექტივებს ამ მხრივ არც ქუთაისში ჩამორჩნენ. საწარმოო ტანვარჯიში ბევრგან დანერგილიც არ არის, ტაქსომოტორების კონტორაში 700-მდე მუშა-მოსამსახურეა, ფიზკულტურის ინსტრუქტორი კი არ ჰყავთ. ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის არც ღვინისა და ლუდის ქარხნების, ხორცკომბინატის, კოოპვაჭრობის დირექციები ზრუნავენ.

სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბესთაევმა თქვა, რომ სპორტული ბაზების უკმარობის გამო ზამთრობით შეჯიბრებების გამართვა ძნელდება. ძალოსნები ერთ პატარა ოთახში ვერ ვარჯიშობენ. ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია ცხინვალის №№ 1, 2 და 3 ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, პურკომბინატში, სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში, საშენ მასალათა კომბინატში. რაიონულ საბჭოებში და ფიზკულტურულ კოლექტივებში მუშაობა თითქმის თვითდინებაზეა მიშვებული.

რუსთავის „განთიადის" ორგანიზაციებში ჩამორჩება ტანვარჯიში, პოზიცია დათმეს ძალოსნებმა. ქალაქში სუსტადაა განვითარებული ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ტყვიის სროლა, სამბო. „ცენტროლიტის", ელექტროსამაგრების, ლითონკონსტრუქციების ქარხნების ფიზკულტურული საბჭოები თითქმის არ მუშაობენ.

„ლოკომოტივის" სამტრედიის რაისაბჭოს კოლექტივებში ჩამორჩება ფიზკულტურისა და სპორტის ლექციური პროპაგანდა. განვითარებული არ არის ველოსპორტი, მშვილდოსნობა, ქართული ჭიდაობა, ტურიზმი, საწარმოო ტანვარჯიში, ბევრგან სპორტული ბაზები კეთილმოუწყობელია.

ყველგან დაისახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსწორებისთვის.

# რინგზე ჭაბუკები არიან

ამას წინათ სოხუმში, ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებულ დარბაზში გაიმართა ქალაქის მოსწავლეთა პირადი პირველობა. შეჯიბრება მიზნად ისახავდა უძლიერესი მოკრივეების გამოვლინებას და მათგან სოხუმის ნაკრების დაკომპლექტებას.

სამდღიანი საინტერესო ორთაბრძოლების შემდეგ ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: ს. ზალანიანი, ა. არაქელიანი, ა. მიხაილიდი, ა. ერმიდი, ს. ავიძბა, ჯ. მიმინოშვილი, ხ. სავა, ა. შამათავა, გ. პოპოვი და ა. ბოხუა. ქვემძიმე და მძიმე წონითს კატეგორიებში პირველობა არ გათამაშებულა.

საპრიზო ადგილებზე გასული მოკრივეები ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპორტსკოლის სიგელებით დაჯილდოვდნენ. კარგი ტექნიკური მომზადებისთვის დაჯილდოვდნენ ა. მიხაილიდი, ჯ. მიმინოშვილი და ა. შამათავა.

ვ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ა. შამათავა.

ავტორის ფოტო.



### ქობულეთი

სოფელ ლეღვას საშუალო სკოლაში შიდასაკოლექტივო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ჭადრაკში IX[1] კლასის მოსწავლეებმა მოიგეს. ხელბურთელ გოგონათა შეჯიბრებაშიც ამ კლასის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს, ხოლო ჭაბუკთა ასპარეზობაში ყველას აჯობეს X[2] კლასის მოსწავლეებმა.

ლ. ტრაპაიძე.

### დუშეთი

ჰოპორტის საშუალო სკოლაში მოეწყო შეჯიბრება მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად, რომელშიც ასზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ნახევარზე მეტმა ორ და სამ სახეობაში ნორმატივები ვერცხლის სამკერდე ნიშანზე ჩააბარა.

ვ. ღურბელაშვილი.

# ბათუმელებმა იმარჯვეს

ქუთაისის განათლების განყოფილების დარბაზში ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს უძლიერეს მაგიდის ჩოგბურთელთა პირად-გუნდური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 10 ქალაქის 80-მდე სპორტსმენი.

დიდი ინტერესი გამოიწვია ქალთა ფინალურმა შეხვედრამ. ბათუმელი სპორტის ოსტატის ს. პარფინიდისა და ა. სუჯაშვილის (თბილისი) მატჩში პირველმა ორივე პარტია მოიგო.

ვაჟთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა სპორტის ოსტატმა თ. რამაზაშვილმა (თბილისი), რომელმაც ფინალში ანგარიშით 2:0 დაამარცხა ვ. კოლიკი (ბათუმი).

ქალთა წყვილების ფინალში პარფინიდიმ და მისმა თანაქალაქელმა ლ. ავდალიანმა დაამარცხეს თბილისის გუნდის უძლიერესი სპორტსმენები მ. პაპუკაშვილი (ერთეულთა თანრიგში III ადგილზეა) და ე. კარპენკო — 2:0.

ბათუმელმა ვაჟებმა გ. სარხოიანმა და კოლიკმა თანაგუნდელებს არ უღალატეს და დაძაბული ბრძოლის შემდეგ ვ. გორგიშელთან და პ. ეფიმოვთან (ორივე — თბილისი) ფინალური შეხვედრა მოიგეს.

შერეულ წყვილთა შეჯიბრებაშიც თავი ისახელეს პარფინიდიმ და სარხოიანმა. ფინალში მათ ანგარიშით 2:0 სძლიეს რამაზაშვილსა და სუჯაშვილს.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დამსახურებულად მოიპოვა ბათუმის ძლიერმა კოლექტივმა (მწვრთნელი ქ. გუგუშვილი). II ადგილი ხვდათ თბილისელებს, ხოლო მასპინძლები III ადგილზე გავიდნენ.

ლ. ფაჩუაშვილი.

ქუთაისი.

# უმაყურებლოდ

„ლოკომოტივის" სპორტულ დარბაზში ჩატარდა თბილისის პირად-გუნდური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 8 გუნდის 106 წარმომადგენელი. შეჯიბრება საინტერესო გამოდგა. სამწუხაროდ, მას ვერ დაესწრო მაყურებელი, ვინაიდან ქალაქში აფიშა არსად გამოუკრავთ.

გუნდური პირველობა „სპარტაკის" კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილის პრეტენდენტებმა — „დინამოსა" და არმიის სპორტკლუბის გუნდებმა თანაბარი ქულები დააგროვეს. მაგრამ უპირატესობა „დინამოს" მიენიჭა — მას მეტი წმინდა გამარჯვება აღმოაჩნდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: დ. ჯუგაშვილმა (უნივერსიტეტი), ვ. ანანიაშვილმა („სპარტაკი"), მ. კეხჰაძემ (ასკ), გ. მაზანაშვილმა („დინამო"), უ. გაგუნაშვილმა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), რ. მალაფერიძემ (უნივერსიტეტი), ა. დილმელაშვილმა („სპარტაკი"), ჯ. ნიჟარაძემ („დინამო").

ი. იმერლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

### ცხინვალი

ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა გორისა და რუსთავის კალათბურთელთა, ფრენბურთელთა და მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრები ადგილობრივ სპორტსმენებთან. ფრენბურთში მასპინძლებმა ორივეჯერ ერთნაირი ანგარიშით (3:2) დაამარცხეს რუსთაველი ჭაბუკები. კალათბურთელ ჭაბუკთა ასპარეზობა გორელებმა მოიგეს, გოგონებში კი გამარჯვება მასპინძლებს ხვდათ. თავისუფალი სტილის ჭიდაობაში ერთმანეთს გორისა და ცხინვალის გუნდები შეეჯიბრნენ. წარმატებას ცხინვალელებმა მიაღწიეს — 11:0.

• • •

სამხრეთ ოსეთის ზონალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში ფაქტიურად ცხინვალისა და ზნაურის წარმომადგენელთა შორის ჩატარდა. ლენინგორელებმა გაურკვეველი მიზეზით თავი აარიდეს შეჯიბრებას. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: რ. კაბულოვმა, ვ. მიდოდაშვილმა, თ. ტურიევმა, ნ. ქრისტესიაშვილმა, მ. ქისიშვილმა, ვ. კაზიევმა, მ. თუაევმა და ტ. მუზაშვილმა.

ვ. მელქოევი.



„ა" კლ. I ჯგუფი

საკავშირო პირველობა „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებმა ნოემბრის დამლევს დაიწყეს. მას შემდეგ ბევრი კალენდარული მატჩი ჩატარდა როგორც თბილისის „ბურევესტნიკის", ისე სხვა კოლექტივების მონაწილეობით. მაგრამ რედაქციას, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ ჰქონდა საშუალება გაეგო დღემდე გამართული მატჩების შედეგები (რა თქმა უნდა,

● ●

სსრ კავშირის პირველობა

# სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

„ბურევესტნიკის" შეხვედრების გარდა).

ამის გამო შეუძლებელი გახდა სატურნირო ცხრილის შედგენა და მკითხველის საქმის კურსში ჩაყენება. დღეს ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, თავი მოვუყარეთ ყველა შედეგს და ვბეჭდავთ მათ ქრონოლოგიური რიგით.

25-26 ნოემბერი. „სპარტაკი" (ნიკოლაევი) — „ავანგარდი" (დონეცკი) 52:58, 71:68, „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 79:74, 76:69.

27-28 ნოემბერი. „ტრუდი" (ტაგანროგი) — „ტრუდი" (კრასნოდარი) 72:80, 68:76, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) 90:66, 118:80. რიგის ვეფ-ისა და ამავე ქალაქის არმიელთა შეხვედრები გადატანილია 6-7 იანვრისთვის.

28-29 ნოემბერი. „სტატიბა" (ვილნიუსი) — „პოლიტექნიკი" (კიშინიოვი) 74:69, 87:79.

2-3 დეკემბერი. ასკ (რიგა) — „პოლიტექნიკი" (კიშინიოვი) 91:79, 99:84, „ავანგარდი" (დონეცკი) — „ტრუდი" (კრასნოდარი) 76:68, 77:69.

5-6 დეკემბერი. ვეფ-ი (რიგა) — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) 83:70, 69:60, „სპარტაკი" (ნიკოლაევი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 85:74, 68:65.

6-7 დეკემბერი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — ასკ (ლენინგრადი) 75:66, 68:73, „ტრუდი" (ტაგანროგი) — „სტატიბა" (ვილნიუსი) 69:89, 83:78.

9-10 დეკემბერი. „პოლიტექნიკი" (კიშინიოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 97:95, 82:84.

10-11 დეკემბერი. „სპარტაკი" (ნიკოლაევი) — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) 81:70, 67:60.

11-12 დეკემბერი. „ტრუდი" (კრასნოდარი) — „სტატიბა" (ვილნიუსი) 60:69, 72:70, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) — ასკ (ლენინგრადი) 78:79, 74:69.

12-13 დეკემბერი. „ავანგარდი" (დონეცკი) — ვეფ-ი (რიგა) 78:72, 55:59.

14-15 დეკემბერი. „პოლიტექნიკი" (კიშინიოვი) — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) 115:110, 91:95.

16-17 დეკემბერი. „ავანგარდი" (დონეცკი) — „სტატიბა" (ვილნიუსი) 82:79, 89:79, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) — ასკ (რიგა) 82:108, 95:114.

17-18 დეკემბერი. ვეფ-ი (რიგა) — „სპარტაკი" (ნიკოლაევი) 96:67, 82:68.

18-19 დეკემბერი. „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 62:66, 94:74.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „ავანგარდი" (დონეცკი) | 8 | 6 | 2 | 6 |
| ვეფ-ი (რიგა) | 6 | 5 | 1 | 5 |
| „ტრუდი" (კრასნოდარი) | 8 | 5 | 3 | 5 |
| „სპარტაკი" (ნიკოლაევი) | 8 | 5 | 3 | 5 |
| ასკ (რიგა) | 4 | 4 | 0 | 4 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 8 | 4 | 4 | 4 |
| ფიზკ. ინსტ. (ერევანი) | 6 | 4 | 2 | 4 |
| „ტრუდი" (ტაგანროგი) | 6 | 3 | 3 | 3 |
| ასკ (ლენინგრადი) | 6 | 3 | 3 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 8 | 3 | 5 | 3 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 8 | 3 | 5 | 3 |
| „პოლიტექნიკი" (კიშინიოვი) | 8 | 2 | 6 | 2 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 8 | 2 | 6 | 2 |
| აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) | 8 | 1 | 7 | 1 |



ბრძოლის ველი. ა. საკოვის ფოტო.

# ადამიანი, ხელოვანი, სპორტსმენი



ორმოცდაათმა წელმა მის ცხოვრებაში ორმოცდაათი დღესავით გაირბინა.

არც ბედის მომდურავია და არც ცხოვრებით უკმაყოფილო. პირიქით, მუდამ იქ არის, სადაც სიცოცხლე ჩქეფს, სადაც ყველაზე მეტად იხლართება ერთმანეთში ადამიანური ვნებები.

ცხოვრებას თავისებურად ხედავს და გრძნობს. ავიც იცის და კარგიც. იმიტომ, რომ ხელოვანია და ჭეშმარიტი შემოქმედი. თუ მზის ამოსვლა ზოგისთვის დღისა და ღამის მონაცვლეობაა მხოლოდ, მისთვის სიცოცხლის წყაროა, ფერების სიმფონია და ბავშვური სიხარული. 50 წელიც სწორედ ამ სიხარულში გაატარა.

არაფერი ამქვეყნიური მისთვის უცხო არ არის, მაგრამ ყველაფერს თავის რიგსა და წესზე აყენებს.

ბავშვობაში ფეხბურთის თამაში უყვარდა — ფეხბურთს ვერც დღემდე ულალატა. მერე კალათბურთს დაეწაფა, ოღონდ სიმაღლე დაუწუნეს. დედამიწის მიზიდულობის კანონი რომ ისწავლა, ყველაზე მძიმე შტანგას დაავლო ხელი, მაგრამ ტყირპი ასტკივდა და ძალოსნურ ფიცარნაგს რბილი საჭიდაო ხალიჩა ამჯობინა.

51 კილოგრამს არც იწონიდა, როცა მოკრივის ხელთათმანები ჩამოიცვა ხელზე. მეგობრებმა, რინგის რისხვა ხარო, უთხრეს, მაგრამ იმდენად მშვიდობისმოყვარე გამოდგა, რომ სანოკაუტედ ვერავინ გაიმეტა.

ერთხელ „ბოლშევიკის" საკავშირო პირველობა მოიგო, ისე, რომ ხელიც არ გაუქნევია. რა მისი ბრალია, მეტოქეები რომ არ გამოცხადდნენ. ამბობენ, ასეთი რამ კრივის ისტორიაში არ მომხდარაო. გეთანხმებით, მაგრამ ეს ოდნავაც ვერ ბღალავს მისი, როგორც მოკრივის, ავტორიტეტს.

ალბათ იმიტომ, რომ მომაკვდინებელ ჰუკს ფლობდა, ვერც შემდგომში შეჰკადრა ვინმემ მეტოქეობა და როცა მარჩიანოსავით დაუმარცხებლად დატოვა რინგი. პროფესიულ კრივში ასე ლამაზად ორი თუ სამი ჩემპიონი წავიდა სპორტიდან. ის კი მუდამ მოყვარული იყო და დღემდე მოყვარულად დარჩა.

კრივმა ხელოვნებას დაუთმო ადგილი. მაგრამ ეს უფრო მოგვიანებით მოხდა, სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში. აღორძინების ხანის მხატვრობა, კლასიკური ბერძნული ქანდაკება, მერე ვან გოგი, რენუარი, გოგენი... ფერების ჰარმონია, ხაზების სიმეტრია (ან ასიმეტრია), უსულო ქვის ან თაბაშირის გაცოცხლება. ეს უკვე ყოველდღიური ცხოვრებაა მისი, როგორც შემოქმედის, როგორც ხელოვნის.

იგი საგნებსა და მოვლენებს თავისებურად ხედავს, ისე არა, როგორც ყველა დანარჩენი ამაშია ხელოვნის ძალა, მისი მოწოდება და უნარი. მანკიერ ცხოვრებისეულ მოვლენებს დასცინის ულმობლად. ოღონდ მისი ყოველი სიტყვა ან პროტესტი ალალი იუმორის ჩარჩოებშია მოქცეული.

იუმორით იწყება მისთვის ყოველი დღე და იუმორითვე მთავრდება. ნაკლსაც თავის თავს ყველაზე მეტად თვითონ ამჩნევს. ზოგჯერ საკუთარ პიროვნებასაც დასცინის, მაგრამ უნდა იცოდე, რომ შენს მიმართაც დაუნდობელი იქნება.

როგორც ვთქვით, ფეხბურთის სიყვარულს დღემდე ვერ დაალწია თავი. უწინ, ახალგაზრდობაში, უფრო ემოციური იყო, შეეძლო ერთ მატჩში სამი პენალტი გაეშვა. ახლა სხვებს უსწორებს, მაგრამ ზომას არასდროს კარგავს. თუ არ ვცდები, „მესხისტი" იყო, მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, დოგმატიკური კი არა — შემოქმედებითი. ეს დიდი საქმეა.

50 წელს რომ მიაბიჯა, ჩოგბურთის თამაში დაიწყო (რა გაქანებაა, რა უნივერსალიზმი!). აქაც კვალი დატოვა. განსაკუთრებით ლაღად გრძნობს თავს მიქსტში, თუმცა რა არის ამაში გასაკვირი? 50 წელს მიღწეულს თავისი განსაკუთრებული პოზიცია აქვს მშვენიერთა სქესის მიმართ.

მე იგი ჩოგბურთის კორტზეც მინახავს — სწრაფი, ცეცხლოვანი, თვალშეუვლები. დაახლოებით საათს ანდომებდა მოედნის ერთი კუთხიდან მეორემდე მისვლას. მეგონა რაიმე ტაქტიკური ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ მოვტყუვდი. თვითონ გამომიტყდა: სისწრაფე და ტემპი ჩემი სტიქიააო.

მას ყველა თავისებურად იცნობს. ხელოვნისთვის იგი მოქანდაკეა, სპორტის მოყვარულისთვის — ხან მოკრივე, ხან ფეხბურთელი, ხან ჩოგბურთელი, ჩვენთვის — საყვარელი ადამიანი, უმრავლესობისთვის კი, უბრალოდ, გიგლა ფირცხალავა — ცნობილი ქართველი კარიკატურისტი.

ნ. გუგუშვილი.

# ვფურცლავთ სპორტულ გაზეთებს

### ჩემპიონის ფოსტა

ყოველ დილას, ისე, რომ რიგიანად წყლის გადავლებასაც ვერ ასწრებს, მსოფლიო ჩემპიონი რობერტ ფიშერი ფოსტის გასინჯვას იწყებს. ეს საქმე მასართობს, ცნობისმოყვარეობას უღვიძებ ს და, ცოტა არ იყოს, აშინებს კიდეც. ერთი სიტყვით, მის სულში მწვავე განცდების მთელ გამას ქმნის. წერილებისა და დეპეშების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ სასტუმრო „გროსინჯერის" ადმინისტრაციამ, სადაც რეიკიავიკიდან დაბრუნების შემდეგ ფიშერი ცხოვრობს, სპეციალური მოსამსახურეც კი დაიქირავა, რომლის პატარა სარკმელზეც ასეთი წარწერაა გაკრული: „მხოლოდ მისტერ ფიშერის კორესპონდენციების მიღება".

ნომერში დღეში ორი ტომარა წერილები მოაქვთ. მათ გასინჯვას ყოველთვის ესწრება ჟურნალ „ლაიფის" კორესპონდენტი ბრედ დარაჰი, არა მარტო იმის გამო, რომ ფიშერთან მეგობრული ურთიერთობა აქვს, არამედ იმიტომაც, რომ ოდესღაც საინჟინრო-სასანგრო ნაწილებში მსახურობდა და ჩინებულად ერკვევა სხვადასხვა ყაიდის ამაფეთქებელ მოწყობილობებში. ბობი კი სრულიადაც არ მალავს შიშს იმის გამო, რომ შეიძლება მიიღოს ვილაც ბოროტგანმზრახველისგან „წერილი-ყუმბარა", რაც ახლა დიდ მოდაშია დასავლეთში.

ერთმანეთს ცვლის სიყვარულის ახსნა, სიძულვილის შეტყობინება, თხოვნა, მუქარა, საქმიანი წინადადებები, კომერციული ფირმების სარეკლამო პროსპექტები. რომელიღაც ექიმი აცნობებს, რომ ჩინებულად მოქმედი წამალი აქვს გაციების წინააღმდეგ. „ყველა ექიმი შარლატანია, — წამოიძახა ფიშერმა, — როცა გაციებული ვარ, მინდა ერთი ბიფშტექსის ნაჭერი და ერთი ჭიქა თაფლიანი ცხელი რძე, მეტი არაფერი".

აი, სულ სხვანაირი შინაარსის წერილი! თაყვანისმცემელი ქალი ფიშერს სწერს: „ჩემი წარმოდგენით საოცრად ლამაზი სახე გაქვთ, თქვენს იერში არის რაღაც არისტოკრატული!". ბობი აშკარად კმაყოფილია. იგი ერთი წუთით შედის სააბაზანო ოთახში, სადაც დიდი სარკე ჰკიდია. შემდეგ მისაღებში ბრუნდება, მხრებს იჩეჩს და ამბობს: „ნეტავ ამ ქალს მარკ სპიტცში ხომ არ ვეშლები?"

კენტუკელი მოსწავლე მსოფლიო ჩემპიონს სთავაზობს ახალ იდეას სიცილიური პარტიის ერთ-ერთ ვარიანტში. „შეგიძლიათ ეს იდეა თქვენად მიიჩნიოთ, — დიდსულოვნად შენიშნავს მოსწავლე, — მე პატივმოყვარე არა ვარ და ჭადრაკიც მხოლოდ ხელოვნების სიყვარულით მაინტერესებს". „ვარიანტი შეიძლება ზუსტი არ არის, — შენიშნავს ფიშერი, — მაგრამ, ეტყობა, ყმაწვილს გამჭრიახი გონება აქვს. პასუხი უნდა მივწერო".

წერილებს ფიშერი ძალიან იშვიათად უპასუხებს ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ მაინც იქცევა ასე. როცა ინგლისურმა საკვირაო გაზეთმა „სანდი ექსპრესმა" სთხოვა ჩამოეთვალა თავისი საყვარელი ანდაზები, ფიშერმა მყისვე უპასუხა: „გიგზავნით ჩემს ყველაზე საყვარელ ანდაზას: „ბავშვობაში ჯორმა მას წიხლი ჩასცხო თავში და მას შემდეგ სჯერა ყველაფერი, რასაც საკვირაო გაზეთები წერენ".

ერთ წერილში წერია: „მომისმინე, ბრუკლინელო დათვო, დროა დაიქირავო კაცი, რომელიც ჯენტლმენურ მანერებს გასწავლის!". ბობის ეცინება: „იქნებ ამ ტიპს სურს თავისი სამსახური შემომთავაზოს?"

აი, კიდევ ერთი „უარყოფითი" წერილი: „არ შეიძლება ასეთი ანგარება, ბობი, — სწერს ჩემპიონს ერთი ხანდაზმული ქალბატონი ოკლაჰომიდან. — ცხოვრებაში მთავარია კარგი ჯანმრთელობა, სიყვარული და არა ეს მწვანე ფერის ქაღალდის ფული, რომელიც სავსეა მიკრობებით და ავრცელებს ავადმყოფობას არა მარტო გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც".

აქ ბრედ დარაჰმა საჭიროდ მიიჩნია ფიშერის დამცველად გამოსულიყო. „ფიშერის ყბადაღებული ანგარება სხვა არა არის რა, თუ არა მითი, — ამტკიცებს იგი. — ბობი მართლაც მოითხოვს ექსტრაჰონორარს, მაგრამ მოითხოვს არა სიძუნწის გამო, არამედ პრინციპული პოზიციიდან, პრესტიჟის გულისთვის, უბრალოდ, იმისთვისაც, რომ სხვებს თავისი ნება-სურვილი მოახვიოს თავს. ...როცა ისლანდიაში წავიკითხე პირველი ვარიანტი წერილისა, რომლითაც იგი ბოდიშს იხდიდა სპასკისთან, თვალებს არ ვუჯერებდი. იქ შავით თეთრზე ეწერა: „ძვირფასო ბორის! არ მინდა მერკანტილისტად ჩამთვალოთ. ამიტომაც ვაცხადებ, რომ უარს ვამბობ ყოველგვარ ჰონორარზე და ვითამაშებ თქვენთან მატჩს უბრალოდ, ჭადრაკის სიყვარულის გამო". „როგორია?" — მკითხა მაშინ ფიშერმა. „ძალიან კარგია, ბობი, — ვუპასუხე მე, — ოღონდ, ყოველი შემთხვევისთვის, თქვენს ადვოკატს მოელაპარაკეთ!". იგი ასეც მოიქცა და, ადვოკატმა, ცხადია, ხელი აალებინა განზრახვაზე. ახლა მე, გამოგიტყდებით, ვნანობ, რომ ადვოკატთან გავგზავნე, იმის ნაცვლად, რომ მისი თავდაპირველი განზრახვისთვის დამეჭირა მხარი.

„მომისმინეთ, ბობი, როგორ შეგეძლოთ „გემუშავათ" ისეთი უნიჭო ოინბაზისთვის, როგორიც ბობ ჰოუპია?" — ჰკითხა ჩემპიონს სანფრანცისკოელმა კორესპონდენტმა. მას მხედველობაში ჰქონდა ფიშერის გამოსვლა ცნობილი კომიკოსის სატელევიზიო რევიუში.

ბობი დარცხვენილი იყო. „ჰოუპი მართლაც უნიჭო ოინბაზია — თქვა მან ბოლოს, — მაგრამ მე მისგან 10 ათასი დოლარი მივიღე რვა წუთში".

აი, კიდევ ერთი წერილი, სადაც ფიშერი გაჰკილეს ჰოუპთან ცოტა ხნით თანამშრომლობისთვის.

„მისტერ ფიშერ, თქვენთვის ცნობილია, რომ თქვენი კოლეგა და ანტრეპრენიორი ჰოუპი სამხრეთის შტატებში ბრინჯის დიდი პლანტაციების მფლობელია. იგი ფედერალური მთავრობისგან ყოველ წელიწადს დიდ ფულად კომპენსაციას იღებს, რათა მოსავალი არ მოიწიოს და ბრინჯი მეტისმეტად ბევრი არ დაგროვდეს. რატომ თქვენ არ მოითხოვთ ჰონორარს ტურნირებში და მატჩებში მონაწილეობაზე... უარის თქმისთვის?!"

„...დიახ, ამან სასტიკად გამამათრახა, — წყენით ამბობს ბობი და საათს უყურებს, — ღმერთო ჩემო! დღეს ორსაათნახევარი მოვანდომეთ ამ წყეულ წერილებს!"

„რა გასაკვირია, ბობი! — შენიშნავს დარაჰი, — თქვენ ხომ ახლა ბევრად მეტ კორესპონდენციას იღებთ, ვიდრე არისტოტელე ონასისი და მისი მეუღლე, ერთად".

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 224, 226, 229, 231, 233, 235, 239, 242, 246, 247, 251.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის ისტორიიდან

# თანამედროვე კრივის სათავეებთან

ბაღდადის მუზეუმში ინახება თეთრი მარმარილოს ფილა, რომელზეც გამოსახულია კრივის სამი სცენა. ეს ფილა 5 ათასი წლისაა. დაახლოებით 1500 წლით უმცროსია კრეტის ჰერაკლიონის მუზეუმში დაცული კრივის გამომსახველი ნახატები. კრივზე პირველ წერილობით ცნობებს გვაწვდის ჰომეროსი. „ილიადას" 23-ე სიმღერაში ნაამბობია მუშტებით ბრძოლაზე, რომელსაც პატროკლეს ხსოვნას უძღვნიან. ერთმანეთს ებრძვიან ეპეიოსი და ევრიალოსი. ეპეიოსი წინასწარ ცდილობს მოწინააღმდეგის დაშინებას. ის ამბობს: „ამას წინასწარ ვეტყვი და კიდეც შევასრულებ: მთლიანად დავლეწავ მტერს და ძვლებს დავუმსხვრევ! ადგილზევე დარჩნენ ნეშტის გადამტანნი, რათა გაატარონ დამარცხებული, როგორც კი ჩემი მუშტი მას ძირს დაანარცხებს". ევრიალოსს არ ეშინია ეპეიოსისა. ისინი ეცნენ ერთმანეთს, დაუშინეს მუშტები, საზარლად ბაგუნებდნენ ყბები, ოფლი ორივეს ღვარად ჩამოსდიოდა. ძლიერი ევრიალოსი სისხლს აფურთხებდა, თავი გვერდზე გადაეხარა. ეპეიოსმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი ნოკაუტით დაამარცხა. ეპეიოსი ამ მხრივ არ ჰგავდა მუჰამედ ალის, მან ქადილი შეასრულა კიდეც. ეს არის მსოფლიოში კრივის პირველი რეპორტაჟი.

სპორტის ალბათ არც ერთი სახეობა არ გაუკრიტიკებიათ ისე მძაფრად, როგორც პროფესიული კრივი, რომელსაც „თავის დაცვის კეთილშობილ ხელოვნებას" უწოდებენ, მაგრამ რომელიც სინამდვილეში უფრო „ლეგალიზებული მკვლელობაა". პროფესიული მოკრივის მიზანია მოწინააღმდეგეს ბრძოლის უნარი დაუკარგოს, ძირს დაანარცხოს. მოყვარულების კრივი ჩვეულებრივ უნოკაუტოდ მთავრდება, ის მხოლოდ სამ რაუნდს გრძელდება, ხელთათმანებიც უფრო რბილია და მოკრივეთა დასახიჩრება გამორიცხულია.

შუა საუკუნეებში ანტიკური კრივი დაივიწყეს. ახლა ინგლისი იქცა კრივის ქვეყნად. მოფარიკავე ჯეიმზ ფიგმა დაადგინა ახალი წესები. 1719 წელს მან ლონდონში დააარსა „მუშტებით ფარიკაობის" აკადემია, რაც ჯერ მოდად, ხოლო შემდეგ ტრადიციად იქცა. ინგლისელები ალტაცებული იყვნენ კრივით. 1743 წელს ჯეკ ბროუტონმა შეადგინა კრივის წესები, რაც 100 წლის განმავლობაში არ შეცვლილა. შემდეგ ისევ ას წელიწადს ტარდებოდა შეჯიბრებები მარკიზ ოფ კვინსბერის წესების მიხედვით. ლორდები სტუდენტობისას ცოტას ერთობოდნენ კრივით, უფრო ფარიკაობდნენ. მოკრივეს ისინი სადოლე ცხენივით უყურებდნენ. მეტოქეები შიშველი მუშტებით იბრძოდნენ 30–40 რაუნდს, სანამ რომელიმე ძირს არ დავარდებოდა და ვეღარ ადგებოდა. XVIII და XIX საუკუნეებში ინგლისში ჩასული მოგზაურები წერილებსა თუ დღიურებში ამ ქვეყნის მოკრივეებს აუცილებლად ძველი რომის გლადიატორებს ადარებდნენ.

ბევრი პროფესიული მოკრივე ფსიქიკურ კლინიკაშიც მოხვედრილა: კრივის დროს ტვინი დაზიანებია.

მსოფლიო ჩემპიონატები კრივში 1882 წლიდან იწყება. მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ასპარეზობა მუდამ ამერიკის შეერთებულ შტატებში იმართება. დიდხანს გამოჩენილი მოკრივეები ამერიკაში გადასახლებული იტალიელები და ირლანდიელები იყვნენ. 1920 წლამდე ნიუ იორკში პოლიცია კრძალავდა კრივს.

მსოფლიოს უძლიერესი ადამიანი, მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში მხოლოდ თეთრკანიანი უნდა ყოფილიყო. 1899 წელს უძლიერესი გახდა ჯეიმზ ჯ. ჯეფრისი, მღვდლის შვილი. მან ხუთჯერ დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და 1904 წელს დაუმარცხებლად დაანება თავი კრივს, ვარიეტეს სცენაზე გადავიდა, სადაც პროჟექტორების შუქზე კუნთებს ათამაშებდა. ბოლოს ისე მოიქცა, როგორც გადამდგარი მოკრივეები იქცევიან: ბარი გახსნა.

მალე ამერიკა გაუგონარმა ამბავმა შეაშფოთა: ტომი ბიორნსი, ჯიმ ჯეფრისის მემკვიდრე, 1908 წელს ჯეკ ჯონსონთან დამარცხდა, ხოლო ჯეკ ჯონსონი ზანგი იყო. მატჩი სიდნეიში შედგა. ბრძოლა პოლიციამ ჩაშალა მე-14 რაუნდში, როცა ბიორნსი „ნაფლეთებად იყო ქცეული".

ამერიკაში თეთრკანიანსა და ზანგს შორის ბრძოლა აკრძალული იყო. როცა ჯეკ ჯონსონი თეთრკანიან ჯო შონინსკის შეხვდა, ორივე საპყრობილეში ჩააგდეს. მხოლოდ ბიორნსის დამარცხებამ გაუხსნა გზა ჯეკ ჯონსონს ამერიკულ რინგზე. მისი მენეჯერი იყო ტექსი რიკარდი. რიკარდი თანამედროვე კრივის ბიზნესის „გამომგონებელი" გახლდათ. 36 წლის ჯიმ ჯეფრისი, ყოფილი ჩემპიონი, რომელსაც დიდი ხანია დაენებებინა თავი კრივისთვის, აიძულეს შეხვედროდა ზანგ ჯეკ ჯონსონს, რათა თეთრკანიანებისთვის სირცხვილი ჩამოერეცხა. მაგრამ მე-15 რაუნდში ძია ჯიმი ნოკაუტირებული და თავის სიცოცხლეში პირველად იატაკზე აღმოჩნდა გართხმული.

ჯეკ ჯონსონის გამარჯვებამ ზანგების მანიფესტაციები და დემონსტრაციები გამოიწვია. სამხრეთის შტატებში ისინი მწყობრად გაემართნენ თეთრების უბნებისკენ, ცეცხლი წაუკიდეს სახლებს და 19 ადამიანი მოკლეს. თეთრკანიანთა შურისძიება საშინელი იყო: არ დარჩა არც ერთი ქალაქი სამხრეთში, სადაც ზანგები მასობრივად არ გაეჟლიტათ.

ჯეკ ჯონსონმა თავისი ტიტული 1919 წელს დაკარგა ჰავანაში, ჯეს ვილარდის წინააღმდეგ ბრძოლაში. 26-ე რაუნდში, ნიუ იორკის განგსტერების მოთხოვნით, იგი წაიქცა, ისე, რომ დარტყმა არავის დაუნახავს. საქმე ეხებოდა ძალიან დიდ ნაძლევს. როგორც ჩანს, ჯონსონი მოქრთამეს, მოისყიდეს. ამბობენ, ძირს რომ ეგდო, მზისგან შეწუხებული თვალებს აფარებდა ხელებს. მაყურებელი აღშფოთებული იყო. ჰავანაში მღელვარება დაიწყო, რაც სამხედროებმა დააშოშმინეს. ამის შემდეგ ორი ათწლეული გავიდა, სანამ შავკანიანი ისევ გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონი: ეს იყო ჯო ლუისი.

1926 წელს ტექს რიკარდმა ფილადელფიაში მოაწყო პირველი „საუკუნის მატჩი" ჯეკ დემპსისა და ჯიმ ტუნეის შორის. დემპსი უბირი, ქუჩის ბიჭი იყო, ტუნეი კი დახვეწილი ჯენტლმენი, რომელზეც ამბობდნენ, ვარჯიშის შუალედებში შექსპირს კითხულობსო. გაიმარჯვა შექსპირის თაყვანისმცემელმა. ამ მატჩზე ჩარლი ჩაპლინმა სპეციალური მატარებლით ჩაიყვანა ჰოლივუდიდან კინოვარსკვლავები. ამ პირველ „საუკუნის მატჩს" 1927 წელს ჩიკაგოში მოჰყვა მეორეც. ისევ ამ მოკრივეთა შორის. ისევ გაიმარჯვა ჯენტლმენმა მოკრივემ ტუნეიმ. 1928 წელს ტუნეი გადადგა. ის ალბათ დღემდე ერთადერთი მოკრივეა, რომელიც კრივის წყალობით მილიონერი გახდა და არც გაკოტრებულა.

1930 წელს მსოფლიო ჩემპიონის ვაკანტური ადგილი დაიკავა გერმანელმა მაქს შმელინგმა. მის მეტოქეს ჯეკ შარკის დისკვალიფიკაცია მიეცა მე-4 რაუნდში, რადგან შმელინგს სარტყელს ქვემოთ დაარტყა. შემდეგ შმელინგი გამოიწვია უილიამ იანგ სტრიბლინგმა. შმელინგმა ნოკაუტით გაიმარჯვა მე-15 რაუნდში. 1935 წელს მან დაკარგა მსოფლიო ჩემპიონობა — შარკიმ მოუგო ქულებით 15-რაუნდიანი სარევანშო ბრძოლა. ერთხანს შმელინგი არა მარტო გერმანიაში, არამედ ამერიკაშიც პოპულარული იყო, მაგრამ 1933 წელს, როცა ხელისუფლების სათავეში ნაცისტები ჩაუდგნენ, გერმანელი აღარ შეიძლებოდა სიმპათიით გარემოცული ყოფილიყო. როცა 1936 წლის 19 ივნისს შმელინგმა ნიუ იორკის „იანკი-სტადიონზე" „შავი ყუმბარმშენი" ჯო ლუისი მე-12 რაუნდში ნოკაუტით დაანარცხა ძირს, ამას ამერიკელების აღტაცება არ გამოუწვევია, ვინაიდან შმელინგი ჰიტლერული გერმანიის სახელით გამოდიოდა. ეს არ იყო მსოფლიო პირველობა, ეს იყო შმელინგისთვის „საგზურის" მოპოვება საფინალო მატჩისთვის.

ამერიკელები სიამოვნებით შეხვდნენ ცნობას, რომ მაქს ბერმა სძლია მაქს შმელინგს, რადგან მაქს ბერი ებრაელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ, მიუხედავად ნაცისტების მუქარისა და გაფრთხილებისა, შმელინგმა შეინარჩუნა თავისი ებრაელი მენეჯერი ჯო იაკობსი. ჯო ლუისთან გამარჯვების შემდეგ შმელინგი გერმანიაში ტრიუმფატორივით მიიღეს. მთელი გერმანია რადიოთი ისმენდა მატჩის მსვლელობას.

შმელინგი დირიჟაბლ „გრაფ ცეპელინით" დაეშვა მაინის ფრანკფურტის აეროდრომზე. მას 10 ათასობით თაყვანისმცემელი დახვდა ტრიუმფითა და ყვავილებით. შმელინგი ძალიან თავშეკავებული იყო, დიდ სიხარულს არც კი გამოხატავდა, თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ მისი მეორე ჩამოსვლა გერმანიაში აღარ იქნებოდა ტრიუმფალური. ჯო ლუისთან მეორე შეხვედრისას რადიოსთან მიმჯდარი თითქმის მთელი გერმანია სასოწარკვეთილი გაჰკიოდა და ღმუოდა: „მაქს, წამოდექი!", მაგრამ მაქსი ვერ წამოდგა. ის ნოკაუტში იყო. ეს მოხდა 1938 წლის 22 ივნისს. როცა მაქს შმელინგი ბერლინში ჩავიდა მატარებლით, მას თითქმის არავინ დახვდა სადგურზე.

ზოგიერთის აზრით, ჯო ლუისი ყველა დროის საუკეთესო მოკრივე იყო.

ა. როსტი.

თარგმანი გერმანულიდან.



სურათზე: ჯეკ დემპსის (მარცხნივ) ვერც ამ ნოკდაუნმა უშველა ჯიმ ტუნეისთან ორთაბრძოლაში.

## ყველაზე ძველი ჭადრაკი

ჭადრაკის ასაკს სამი საუკუნე დაემატა: უზბეკეთის არქეოლოგებმა იპოვეს ფიგურები, რომლებითაც უეჭველად დაფაზე ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში თამაშობდნენ (ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნე ჩარლზ მარეი თავის „ჭადრაკის ისტორიაში" ამ თამაშის დაბადების თარიღად ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნეს მიიჩნევს).

ფიგურები მდინარე სურხანდარიის (სამხრეთ უზბეკეთი) ხეობაში იპოვეს ძველი ქალაქის დალვერზინ-ტეპეს გათხრების დროს. ვინმე მდიდარი მოქალაქის სახლში თიხისა და ბათქაშის ორმეტრიანი ფენის ქვეშ ნახეს სპილოს ძვლისგან გამოჭრილი სპილო და კუზიანი ხარი ზებუ. სპილოს სიმაღლეა 24 მილიმეტრი, ხარისა — 18. ფიგურებს სწორკუთხა საყრდენებიც აქვს.

სპილო, როგორც ჩანს, ლაზიერის „როლს თამაშობდა", ხარი ზებუ კი, რომელიც დღემდე არსად შეგვხვედრია ჭადრაკის ისტორიაში, ეტლი იყო.

ფიგურების თარიღის დადგენა ხერხდება კუშანთა სახელმწიფოს ასაკით, რომელსაც დალვერზინ-ტეპე ეკუთვნოდა. ეს სახელმწიფო მდებარეობდა ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის, პაკისტანის, ავღანეთის, უზბეკეთის სამხრეთ ნაწილისა და ტაჯიკეთის ტერიტორიაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე III და ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეებში. უფრო ზუსტი თარიღის დადგენა შესაძლებელი ხდება ამ გათხრების დროს ნაპოვნი კერამიკის ნიმუშებითა და მონეტებით, რომლებზეც მეფე ხუვიშკის სახეა ამოტვიფრული (ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნე).

ფიგურები სპეციალური ქიმიური შემადგენლობით გაჟღინთეს, რათა არ გაფუჭდეს.

ტაშკენტის ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტის ექსპედიცია, რომელსაც უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. პუგაჩენკოვა ხელმძღვანელობს, უკვე ექვსი წელია დალვერზინ-ტეპეს იკვლევს. ამ ხნის მანძილზე აქ მატერიალური კულტურის ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი იპოვეს.

არქეოლოგებს იმედი აქვთ, რომ ჭადრაკის უძველესი კომპლექტის დანარჩენ ფიგურებსაც მიაგნებენ. სახლში თხუთმეტი ოთახია და ჯერ ყველა არ გამოუკვლევიათ.

ა. ეფიმოვა.

(საქდესის კორ.).

ტაშკენტი.

### ეუსებიო ისევ ეუსებიოა!

14 მატჩში 20 გატანილი ბურთით ევროპის სნაიპერების სადღეისო კლასიფიკაციაში I ადგილი უჭირავს ეუსებიოს. სწორედ ამ ფეხბურთელის ბრწყინვალე თამაშის გამო ლისაბონის „ბენფიკა" მტკიცედ ლიდერობს პორტუგალიის ჩემპიონატში: ბოლო თამაში ეროვნულ ჩემპიონატში ამ გუნდმა წააგო... 1971 წლის 25 აპრილს („ბარეირენსესთან" — 0:1).

II ადგილზეა დასავლეთგერმანელი გ. მიულერი (მიუნხენის „ბაიერნი"), რომელმაც 19 ბურთი გაიტანა, თანაც ეუსებიოსთან შედარებით ორი თამაშით მეტი ჩაატარა.

### ევროპის პირველობა მოყვარულთა შორის

ფიფა-მ ჩაატარა ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა იმ ქვეყნების მოყვარულთა გუნდებს შორის, სადაც ოფიციალურადაა დაკანონებული პროფესიული ფეხბურთი. 12 ქვეყანა დაყოფილია ოთხ ჯგუფად. შეჯიბრებები ჯგუფებში 1974 წლის 1 აპრილისთვის უნდა დამთავრდეს.

აი, ჯგუფების შემადგენლობა: I. შოტლანდია, საფრანგეთი, ჰოლანდია; II. გფრ, ინგლისი, მალტა; III. ესპანეთი, თურქეთი, საბერძნეთი; IV. იტალია, ავსტრია, იუგოსლავია.

## მიხეილ კალანდაძე



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ფიზკულტურული მუშაკი, სკკპ წევრი 1947 წლიდან, მიხეილ სერგის ძე კალანდაძე.

მ. კალანდაძე დაიბადა 1910 წელს მოსკოვში, მოსამსახურის ოჯახში. აქ დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ჯერ საქარხნო-საფაბრიკო სწავლების სისტემაში, ხოლო შემდეგ — ფიზკულტურულ მუშაკთა მოსამზადებელ კურსებზე. აქვე, ბავშვობის წლებში, ეზიარა სპორტს, მისდევდა რამდენიმე სახეობას, განსაკუთრებით, ფეხბურთს.

შრომითი საქმიანობა მ. კალანდაძემ ადრევე, 1937 წლიდან შეუდგა, როცა ფიზკულტურის მასწავლებლად დაინიშნა მოსკოვის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში. შემდეგ იგი საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში, ხოლო 1940 წელს საბჭოთა არმიის სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. 1941 წლიდან მ. კალანდაძე სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. დაიჭრა. მოქმედ ჯარში გამოჩენილი სიმამაცისთვის მთავრობამ დააჯილდოვა მედლებით „მამაცობისთვის", „კავკასიის დაცვისთვის", „ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვებისთვის".

გამოჯანმრთელების შემდეგ მ. კალანდაძე განაგრძობს მუშაობას ფიზკულტურისა და სპორტის დარგში. იგი იყო თბილისის ლენინის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი, სპორტსაზოგადოება „ტრუდის" განყოფილების გამგე, „ლოკომოტივის" ინსპექტორი ფეხბურთში, „განთიადის" ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი. ოთხი წლის განმავლობაში საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობდა „სპარტაკის" თბილისის საქალაქო საბჭოს.

მ. კალანდაძე ფეხბურთში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი იყო.

ყველგან, სადაც კი უმუშავია, მ. კალანდაძეს იცნობდნენ, როგორც ენერგიულ, უნარიან, დაუღალავ ორგანიზატორს, კარგ სპეციალისტს, ახალგაზრდობის ერთგულ მეგობარს, ბევრი, ძალიან ბევრი კეთილი საქმის თაოსანს, მუდამ ხალისიანს, დაუზარებელს, რესპუბლიკაში სპორტული მოძრაობის წინსვლის ენთუზიასტს. ნაყოფიერი მუშაობისთვის იგი დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისთვის".

ჩვენს რიგებს გამოაკლდა დამსახურებული, გამოცდილი მუშაკი, კარგი მეგობარი და ამხანაგი.

„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო.

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04757